# პოსტ საბჭოთა სივრცის რევიზია და ზღვის სტრატეგია თანამედროვე ეტაპზე (შავი ზღვა)

**შალვა შალიკაძე**
მსოფლიო ისტორიის მაგისტრანტი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, 6010. ბათუმი, ნინოშვილის ქ. 32/35
+995 555 363 833. shalva.shalikadze@bsu.edu.ge
ORCID: 0009-0006-1400-2615
**ირაკლი გორგილაძე**
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი
საქართველო, 6010. ბათუმი, ნინოშვილის ქ. 32/35.
+995 577 252 500. irakli.gorgiladze@bsu.edu.ge
ORCID: 0009-0005-4714-5631

**აბსტრაქტი**

სტატიაში გაანალიზებულია შავი ზღვის რეგიონის გეოპოლიტიკური მდგომარეობა და უსაფრთხოების საკითხები მრავალმხრივი მეთოდოლოგიური მიდგომით. დოკუმენტური ანალიზის მეშვეობით განიხილება ისტორიული და თანამედროვე გეოპოლიტიკური თეორიები, ფაქტობრივი მონაცემები და საერთაშორისო მოვლენები.

კვლევა ეფუძნება საერთაშორისო წყაროების, პოლიტიკური ანგარიშებისა და აკადემიური ლიტერატურის გამოყენებას. განსა-

კუთრებული ყურადღება დაეთმო პოსტსაბჭოთა პერიოდის დოკუმენტაციასა და რეგიონული კონფლიქტების კვლევას, როგორიცაა რუსეთის მიერ ყირიმის ანექსია და თურქეთის როლი შავ ზღვაზე.

სტრატეგიული ანალიზის ფარგლებში გამოყენებული იქნა ჰართლენდის და ზღვის ძალის თეორიები, რაც ხელს უწყობს შავი ზღვის სტრატეგიული მნიშვნელობის შეფასებას გლობალურ პოლიტიკურ პროცესებში. შედარებითი ანალიზით შესწავლილია გეოპოლიტიკური აქტორების, როგორიცაა ნატო, რუსეთი და თურქეთი, სტრატეგიები.

კვლევის შედეგები ხაზს უსვამს შავი ზღვის რეგიონში მიმდინარე მოვლენების გლობალურ მნიშვნელობას და რეგიონული უსაფრთხოების არქიტექტურაზე ზეგავლენას.

**საკვანძო სიტყვები:** შავი ზღვის რეგიონი; რეგიონალური კონფლიქტები; უსაფრ თხოება პოსტსაბჭოთა სივრცე; საზღვაო სტრატეგია.

**შესავალი**

XX საუკუნის მიწურულს საბჭოთა კავშირი დაიშალა, რასაც პოსტსაბჭოთა სივრცეში ახალი სახელწმიფოების სუვერენიზაცია მოჰყვა. მიუხედავად არსებული დაპირისპირებებისა, განსაკუთრებით შავი ზღვის აუზში არსებული წინააღმდეგობები, არსად გამქრალა, საბჭოთა მემკვიდრეობა XXI საუკუნის 20-იან წლებშიც გვახსენებს თავს.

შავი ზღვის სტატუსი დღემდე გადაუჭრელი პრობლემაა, ხოლო თავად რეგიონი გეოპოლიტიკურად ერთ ძალას არ ექვემდებარება. პრობლემა თანამედროვე რეალობაში მიმდინარე პროცესებმა განსაკუთრებით გამოკვეთა, რადგან შავი ზღვის უსაფრთხოების საბოლოო კონცეფცია, რომელიც რეალურად უზრუნველყოფს ზღვის უსაფრთხოებას, არ არსებობს.

შავი ზღვის უსაფრთხოება, როგორც რეგიონის ისე დასავლეთის ქვეყნებში მნიშვნელოვან თავსატეხად იქცა. ვითარებას კიდევ უფრო ართულებს რეგიონში გაჭიანურებული კონფლიქტები და სამხედო ფორმირებები. ფაქტია, რომ მიმდინარეობს სივრცის მილიტარიზაცია, რაც რეგიონს მომეტებული რისკის ქვეშ ამყოფებს.

რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრის შემდეგ, შავი ზღვის გავლით ევროპამ ენერგო უსაფრთხოების ახალი სისტემების ფორმირებაზე დაიწყო ფიქრი, რაც ენერგორესურსებით უზრუნველყოფის გარანტიებს ქმნის. (Euronews, 2022). შესაბამისად შავ ზღვაში მიმდინარე მოვლენები კონტინენტური ევროპის ინტერესის ცენტრშია და გარკვეულწილად ევროპული მშვიდობის საყრდენს წარმოადგენს.

**სტატიის მიზანია,** გავაანალიზოთ შავი ზღვის რეგიონის, როგორც ახალი სივრცის სტატუსი. შევაფასოთ, პოსტსაბჭოთა პერიოდში, რეგიონში მიმდინარე ცვლილებები. შევისწავლოთ მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, რაც ცალკეული მოვლენების სიღრმისეული ანალიზის საშუალებას მოგვცემს. მათ შორის კონფლიქტი, კონფრონტაცია და კონსესუსი. ასევე გავაანალიზოთ უსაფრთხოების კონცეპტი პანორამულ ჭრილში. ამასთან, განვიხილოთ შავ ზღვაში მიმდინარე და სამომავლო პროცესები სხვადასხვა თეორიულ კონტექსტში.

**კვლევის მეთოდი**

სტატიაში, შავი ზღვის რეგიონის გეოპოლიტიკური მდგომარეობის და უსაფრთხოების საკითხების შესასწავლად გამოყენებულია კვლევის ინტერდისციპლინური მიდგომა. კვლევის მიზნებისთვის ვიყენებთ პირველადი და მეორადი წყაროების შედარებას რაც გარკვეული დროის პერიოდში შექმნილი მასალების მეორად წყაროებთან (პროფესიული ანალიზი, ინტერვიუ, სტატისტიკა, ანალიტიკური ანგარიშები) დადარების საშუალებას გვაძლევს. ასევე თანამედროვე ისტორიული ანალიზი, რაც თანამედროვე იდეების გათვალისწინებით ისტორიის გაანალიზების -

წარსულის თანამედროვეობაზე გავლენის იდენტიფიცირებაში გვეხმარება.

**თეორიული ჩარჩო**

ჰართლენდის (ჰალფორდ მაკინდერი, 1904 წელი) იდეოლოგიით, გლობალური დომინირების გასაღები ევრაზიის ცენტრის კონტროლშია (Alcenat, 2008), სადაც სახელმწიფოების ინტერესები იკვეთება და გადამწყვეტ როლს თამაშობს ევრაზიის უსაფრთხოების დინამიკაში. ჰართლენდზე კონტროლი უზრუნველყოფს წვდომას უზარმაზარ რესურსებზე და სტრატეგიულ სამხედრო პოზიციაზე, რომელსაც პირდაპირ შეუძლია გავლენა მოახდინოს რეგიონებზე, მათ შორის ევროპაზე, ახლო აღმოსავლეთზე და აზიაზე. „ვინც მართავს აღმოსავლეთ ევროპას, მართავს ჰართლენდს, ვინც მართავს ჰართლენდს, მართავს მსოფლიო-კუნძულს, ვინც მართავს მსოფლიო-კუნძულს, მართავს მსოფლიოს“ (Shah, 2018).

ჰართლენდის თეორიის კონტექსტში, შავი ზღვის უსაფრთხოება შემდეგნაირად იკითხება, შავი ზღვა წარმოადგენს გეოპოლიტიკურ ხიდს ევროპას, აზიასა და ახლო აღმოსავლეთს შორის. ის არის მნიშვნელოვანი დერეფანი სავაჭრო გზებისა და ენერგომომარაგებისთვის. (ენერგეტიკული უსაფრთხოების თვალსაზრისით, შავი ზღვა არის კრიტიკულად მნიშვნელოვანი ზონა. მილსადენებისა და სამარშრუტო ხაზების საშუალებით, ხდება ნავთობისა და ბუნებრივი აირის ტრანსპორტირება კასპიის რეგიონიდან ევროპაში.) აღნიშნული მარშრუტების უსაფრთხოება კიდევ ორი მნიშვნელობითაა განპირობებული, პირველი - ევროპის ენერგოუსაფრთხოება და მეორე - ევროპის რუსეთზე დამოკიდებულების შემცირება. ჰართლენდის თეორია კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს შავი ზღვის გლობალურ მნიშვნელობას.

ადმირალი ჯეიმს სტავრიდი, წიგნში „ზღვის ძალა“, ეროვნული უსაფრთხოებისა და გლობალური გავლენის მისაღწევად ხაზს უსვამს საზღვაო დომინირებისა და ზღვების კონტროლის სტრატეგიულ მნიშვნელობას. სახელმწიფოს კეთილდღეობაზე დიდ გავლენას ახდენს: ზღვების კონტროლი, ძალაუფლების დემ-

ონსტრირება, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტის ფლობა, სავაჭრო გზების კონტროლი, ძლიერი საზღაო ფლოტი, გეოპოლიტიკური პოზიცია, წვდომა მნიშვნელოვან ზღვებზე და ნავსადგურებზე (Stavridis, 2017). შავი ზღვის აუზის წამყვანი პოლიტიკური აქტორები, განსაკუთრებით რუსეთი და თურქეთი, ცდილობენ ზღვის ძალის თეორიით განჭვრეტილი სტრატეგიული უპირატესობის მოპოვებას. თავის მხვრივ, „ზღვის ძალის" თეორიის გამოყენება შავი ზღვის უსაფრთხოების არქიტექტურაში გულისხმობს იმის ანალიზს, თუ როგორ მოქმედებს შავ ზღვაზე კონტროლი რეგიონული და გლობალური ძალაუფლების დინამიკაზე, განსაკუთრებით ზღვისპირა სახელმწიფოებისა და გარე ძალების, როგორიცაა ნატოს სტრატეგიული ინტერესების, გათვალისწინებით.

**რუსეთის** - საზღვაო სტრატეგია შავ ზღვაში ემყარება სტავრიდისის პრინციპებს. შავი ზღვის ფლოტი, რომელიც ლოკალიზებულია ყირიმში, სევასტოპოლში, გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს რეგიონში რუსეთის ძალაუფლების გამყარებისთვის. 2014 წელს ყირიმის ანექსიამ მნიშვნელოვნად გააძლიერა რუსეთის სტრატეგიული პოზიცია, რამაც მას საშუალება მისცა გაეკონტროლებინა ძირითადი საზღვაო მარშრუტები.

**თურქეთი** - აკონტროლებს სრუტეებს, რაც მას შავ ზღვაზე დომინირებისთვის მნიშვნელოვან პლაცდარმს უქმნის. როგორც ნატოს წევრი, ის ორმაგი თამაშით ცდილობს დააბალანსოს დომინანტი ძალები. მისი საზღვაო სტრატეგია ორიენტირებულია მონტრიეს კონვენციით შეინარჩუნოს კონტროლი სრუტეებზე და შესაბამისად, სტაბილურობა რეგიონში, რადგან ქაოსი პირველ რიგში მას აზიანებს.

**ნატო და აშშ** - ნატოს არსებობა შავ ზღვაში მიზნად ისახავს რუსეთის შეკავებასა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უსაფრთხოების უზრუნველყოფას. აშშ და ნატო ატარებენ რეგულარულ საზღვაო წვრთნებსა და პატრულირებას რეგიონში, მათთვის მნიშვნელოვანია რეგიონის სტაბილურობა, რადაგნ აქ განვითარებ-

ული მოვლენები პირველ რიგში დასავლეთის უსაფრთხოეაზე ახდენს გავლენას.

**რუმინეთი და ბულგარეთი** - როგორც ნატოს წევრები, რუმინეთი და ბულგარეთი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ რეგიონულ უსაფრთხოებაში. მათი საზღვაო ძალები ხელს უწყობენ ნატოს კოლექტიური თავდაცვის ძალისხმევას და მონაწილეობენ ერთობლივ წვრთნებში.

**უკრაინა** - ყირიმის ანექსიის შემდეგ უკრაინამ ყურადღება გაამახვილა თავისი საზღვაო შესაძლებლობების აღდგენასა და საზღვაო უსაფრთხოების გაძლიერებაზე. რუსეთის დომინირების შესამცირებლად და განსაკუთრებით წამოწყებული ომის მოსაგებად ნატოსთან და სხვა დასავლელ მოკავშირეებთან თანამშრომლობა გადამწყვეტია უკრაინისთვის.

რეალიზმის ფუძემდებელი ჰანს მორგენთაუს მტკიცებით ადამიანები ბუნებით ეგოისტურები არიან და ისინი ყოველთვის ელტვიან ძალაუფლებას. საერთაშორისო სისტემა ძალაუფლებისთვის ბრძოლაა, სადაც არ არსებობს არბიტრი, შესაბამისად იგი ანარქიულია და სანამ იარსებებენ სუვერენული სახელმწიფოები ისინი იბრძოლებენ ძალაუფლებისთვის, რათა გადარჩენ. თუმცა ადრეულ რეალისტებს გამორჩათ ის, რომ მიუხედავად საერთაშორისო სისტემის ანარქიული ნუმებისა ქვეყნებს შორის მაინც შესაძლებელია თანამშრომლობა (O.brusylovska,V. dubovyk and I.koval, 2020). რეალიზმის თეორიით ახსნილ საერთაშორისო სისტემაში თანამშრომლობის დაშვებით და სხვა საკითხების რევიზიით განვითარდა სტრუქტურული რეალიზმი. სტრუქტურული რეალიზმითა და სახელმწიფოთა ეროვნულ ინტერესებზე დაკვირვებით შესაძლებელია აიხსნას თანამედროვე ეტაპზე რეგიონში შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობაც.

სტრუქტურულმა რეალიზმმა აღიარა, რომ საერთაშორისო სისტემა ანარქიული ბუნებისაა, იგი არ ჰგავს თომას ჰობსის მიერ დანახულ „ყველას ომი ყველას წინააღმდეგ“ თუმცა არც გამორიცხავს მას. სახელწიფოთა გლობალიზაციის პროცესში ჩართვა, თავისუფალი საბაზრო სისტემა და სხვა, ზრდის ურთიერთდამ-

ოკიდებულების ხარისხს. გამომდინარე იქედან, რომ სახელმწიფოთა უმრავლესობა იაზრებს იმ დომინოს პრინციპს პოლიტიკაში, რომელიც შეიძლება ერთი სახელწმიფოს სტაგნაციით და სხვა სახელმწიფოთა ჩათრევით დასრულდეს, ამიტომ გარკვეული დაძაბულობის მომენტშე შეეცდებიან მის განმუხტვას.

ბარი ბუზანისა და ოლე ვავერის მიერ შემუშავებულ რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსური თეორია, რომელიც კოპენჰაგენის უსაფრთხოების კვლევების სკოლის ჩარჩოა ამტკიცებს, რომ სახელმწიფოების უსაფრთხოება არ შეიძლება იყოს გაგებული ცალ-ცალკე, ვინაიდან თანამედროვე სამყაროში სახელმწიფოთა ურთიერთკავშირი და ურთიერთდამოკიდებულება გაზრდილია და პირდაპირ კავშირშია რეგიონულ უსაფრთხოებასთან. რეგიონები განისაზღვრება უსაფრთხოების საკითხთა ურთიერთდამოკიდებულებით იმ სახელმწიფოებს შორის, რომლებიც გეოგრაფიულად ახლოს არიან და იზიარებენ ისტორიულ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ კავშირებს. თეორია პირადპირ კავშირშია შავი ზღვის, როგორც რეგიონის უსაფრთხოების შემუშავებასთან (Barry Buzan and Ole Wæver, 2003).

თეორის გააზრებითა და პოსტსაბჭოთა პერიოდის შემდეგ განვითარებულ მოვლენებზე დაკვირვებით შეგვიძლია გამოვყოთ რეგიონალური უსაფრთხოების დინამიკის ოთხი დონე.

1.**დამოუკიდებელი პოლიტიკა** (კონფრონტაცია) - ისტორიული და მიმდინარე კონფლიქტები, როგორიცაა რუსეთსა - უკრაინას, რუსეთ - თურქეთს, ნატოს წევრ ქვეყანათა და მათ მოწინააღმდეგეთა შორის, განსაზღვრავს რეგიონული უსაფრთხოების ლანდშაფტის დიდ ნაწილს. საქართველოზე თავდასხვა, ყირიმის ანექსია და კონფლიქტი აღმოსავლეთ უკრაინაში რეგიონის მთავარი საკითხებია, რომლებიც რეგიონში იწვევს ფრაგმენტაციას და ყოფს ქვეყნებს დაპირისპირებულ მხარეებად.

2.**კოლექტიურობა** - ნატოს წევრებს შორის თანამშრომლობა (მაგ. რუმინეთი, ბულგარეთი და თურქეთი) და მათი კოლექტიური თავდაცვის ინიციატივები წარმოადგენს ურთიერთდ-

ამოკიდებულების მაღალი დონის ნიმუშებს, რომლებიც აწონასწორებენ რეგიონულ დაძაბულობას.

3.**ლოკალურობა** - შავი ზღვის ქვეყნებში შიდა პოლიტიკური მოვლენები გავლენას ახდენს რეგიონულ უსაფრთხოებაზე. შესაბამისად შესაძლებელია მოხდეს შავი ზღვის სტატუსის ხელახალი რევიზია. შეიძლება სრულიად შეცვალოს მოვლენები და გარდამტეხი ცვლილებები შეიტანოს შავი ზღვის უსაფრთხოებაში.

4.**გარე ფაქტორები** - მნიშვნელოვან როლს თამაშობს შეერთებული შტატებისა და ევროპის ქვეყნების სტრატეგიული ინტერესები. აშშ-სა და ნატოს საზღვაო განლაგება, ერთობლივი სამხედრო წვრთნები აყალიბებს უსაფრთხო გარემოს. გარდა ამისა, ევროკავშირის ეკონომიკური ინტეგრაციის მცდელობები და რუსეთის წინააღმდეგ სანქციები ხელს უშლის რომელიმე ერთი ქვეყნის დომინირებას შავი ზღვის აუზში. ჩინეთის დაინტერესება ახალი სამარშრუტო გზით კიდევ უფრო დიდ გავლენას ახდენს რეგიონზე.

გამომდინარე აქედან შავი ზღვის უსაფრთხოება ან მიმდინარე პროცესების კონტროლი განსაკუთრებით იმ ქვეყანათა ინტერესშია, რომლებსაც უშუალოთ აქვთ გასასვლელი შავ ზღვაზე. ესენია: საქართველო, თურქეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, უკრაინა და რუსეთი. ასევე, რეგიონის სხვა ქვეყნებს, რომელთაც აღნიშნული ორიენტაცია არ გააჩნიათ.

## რუსეთის ინტერესები შავი ზღვის აუზში

საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად თითქოს დაასრულა ცივი ომი და შემდგომი პერიოდი სრულიად განსხვავებულ ფაზაში გადავიდა. თუმცა, სსრკ-ს სამართალმემკვიდრე რუსეთის დემოკრატიზაცია, სრული ტყუილი აღმოჩნდა. რუსეთის ახალი პოლიტიკური ელიტა ვერ ეგუებოდა სსრკ-ს დაშლას, განსაკუთრებით გავლენების დაკარგვას კავკასიის, აღმოსავლეთ და ჩრდილოეთი ევროპის ტერიტორიებზე.

ვლადიმერ პუტინი, (რუსეთის პრეზიდენტი 2000 წ-დან 2008 წ-მდე, და 2012 წ-დან დღემდე) მალევე შევიდა დასავლეთთან, უფრო ზუსტად კი აშშ-სთან კონფრონტაციაში. მან 2007 წელს სამყაროს რუსეთის ახალი საგარეო დოქტრინა წარუდგინა. მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე სსრკ-ს დაშლა XX საუკუნის გეოპოლიტიკური კატასტროფად შეაფასა, შესაბამისად, ახალი დოქტრინის ავტორი ჩანდა იზრუნებდა საბჭოთა კავშირის გავლენების აღდგენაზე. (dlugy, 2022) იმპერიალისტური, ევრაზიონისტული თეორიით თუ სუვერენული დემოკრატიით იდეოლოგიზირებულმა რუსეთმა პირველი დარტყმები კავკასიაზე, საქართველოზე მიიტანა. 2008 წელს საქართველოზე თავდასხმით დასავლეთს, კერძოდ აშშ-ს მოსკოვმა მიანიშნა, რომ კავკასიას რუსეთი საკუთარი გავლენის სფეროდ აღიქვამდა და შესაბამისად მათ ნატოში გაწევრიანებას, ან ნატოსთან დაახლოებას არ შეეგუება. შედეგად დღემდე ოკუპირებულია აფხაზეთი, რომელიც საქართველოს სანაპირო სიგრძის 310 კილომეტრიდან - 195 კილომეტრს მოიცავს.

2008 წელს დასავლეთის სუსტმა რეაგირებამ წაახალისა რუსეთი და შემდგომი სამიზნე ყირიმი გახდა (Dickinson, August 7, 2021). 2014 წელი ევრომაიდანის შემდგომი პერიოდია, რუსეთმა გააცნობიერა, რომ უკრაინა მიიწევდა ევროკავშირისა და ნატოსკენ. (ლიკლიკაძე, 2018) ამიტომაც შავ ზღვაში სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ნახევარკუნძული ყირიმი სრულად დაიკავა. 2022 წელს რუსეთის შეჭრა უკრაინაში მისი საგარეო დოქტრინით აიხსნება (A. Kuimova and S. T. Wezeman, 2018). უტყუარია, რომ რუსეთი ცდილობს არ დაუშვას დასავლეთის მოახლოება მის ტერიტორიებთან, განსაკუთრებით კი არ ჩაიკეტოს შავ ზღვაში (ბატიაშვილი, 2021).

დღეს შავი ზღვის რეგიონში ოკუპირებულია: აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი, ყირიმის ნახევარკუნძული, ლუგანსკისა და დონეცკის, ასევე უკრაინის ტერიტორიები და დნესტრისპირეთი.

რუსეთის საგარეო დოქტრინაში ორი მიმართულება იკვეთება, პირველი, დომინირების მოპოვება მეზობელ სახელმწიფ-

ოებზე და მეორე დასავლეთის წინააღმდეგ რუსეთის გავლენების ზრდა, რასაც რა თქმა უნდა უზრუნველყოფს შავი ზღვა (Trenin, Aug 28, 2019). რუსეთს დასავლეთით არ გააჩნია გეოგრაფიული ნიშნის საზღვარი, ამიტომ მისთვის მნიშვნელოვანია შავი ზღვის კონტროლი, ან მათი ბუფერულ ზონად გადაქცევა (ბატიაშვილი, 2021). თუმცა ბუფერულ ზონებზე დასავლეთთან მოლაპარაკება ვერ შედგება. I - იმიტომ, რომ დასავლეთისთვის მიუღებელია შავი ზღვის ფაქტობრივად რუსეთისთვის დათმობა, ამას არ შეეგუება თურქეთი. II - დასავლეთი პატივს სცემს და მისაღებია შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების სურვილი ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის შესახებ.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება ის, რომ რუსეთი სრულიად ჩაიკეტა ბალტიის ზღვაზე, ფინეთისა და შვედეთის ნატოში გაწევრიანებით რუსეთისთვის დასრულდა ძალის დემონსტრირება ჩრდილოეთით და ერთადერთ გასასვლელს იგი შავ ზღვაზე ნახულობს, სადაც ჯერ კიდევ შეუძლია საკუთარი ძალაუფლების გაფართოება (Nicholas Lokker and Heli Hautala, 2023).

მართალია რუსეთს აქვს საზღვაო გასასვლელი შავ ზღვაზე, აზოვის ზღვაში, მაგრამ მას უკრაინაც ესაზღვრება. ევრომაიდანის შემდეგ ყირიმის დაპყრობა და მიდინარე ომი, მიზნად ისახავდა აზოვის ზღვის დაცვას. თუ ყირიმი რუსეთისთვის მიუღებელი ძალების ხელში იქნება მაშინ, იგი სრულიად დაუცველი გახდება ხოლო თუ რუსეთი გააკონტროლებს ყირიმს, მაშინ აზოვის ზღვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან ობიექტებს დაიცავს, რითაც შექმნის უსაფრთხოების გარანტიას.

გამომდინარე აქედან, რუსეთის მისწრაფება გაზარდოს შავ ზღვაზე კონტროლი, შიშით, უსაფრთხოების საკუთარი გარანტიების შექმნითა და ეკონომიკური ფაქტორებით აიხსნება, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რუსეთის ფედერაციისთვის.

### თურქეთის ინტერესები შავი ზღვის რეგიონში

შავი ზღვის უსაფრთხოების თურქული მოდელი ბუნდოვანია - ანკარა ცდილობს პოლიტიკური გაორებით შეინარჩუნოს

არსებითი გავლენები ზღვაზე. ჯერ ერთი, რუსეთთან ერთად არ დაუშვას სხვა აქტიორების გაძლიერება აქ და მეორე, ისარგებლოს არსებული გარემოებებით და მაქსიმალურად გაზარდოს საკუთარი პოზიციები რეგიონში.

დღეს არსებული მდგომარეობის ფონზე რუსეთი ცდილობს თურქეთთან დაახლოებას, საზღვაო აკვატორიის ათვისებას და დასავლეთთან კიდევ უფრო მეტ კონფრონტაციაში მის ჩათრევას. ნათელია, რომ რუსეთსა და თურქეთს კარგი ურთიერთობა ჩამოუყალიბდათ. ამის ერთ-ერთი მაგალითი იყო 2016 წლის თურქეთში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობისას რუსეთის დახმარება, რუსეთ-თურქეთის ეკონომიკური კავშირის გაძლიერება და რუსეთისგან სამხედრო ავიაციის შესყიდვა. ასევე, 2022 წლის 14 ოქტომბერს ვლადიმერ პუტინსა და რეჯეფ თაიფ ერდოღანს შორის შეხვედრა შედგა - მხარეებმა განიხილეს გეგმა, რომელიც თურქეთს ნავთობის მთავარ ჰაბად გადააქცევდა ევროპისთვის (ბატიაშვილი, 2021), (Ibadoghlu, 2021), (LITVINOVA, 2022).

თურქეთის ინტერესები შავ ზღვაში ეწინააღმდეგება, როგორც რუსეთის ისე აშშ-ის ინტერესებს, თუმცა არსებობს მათ შორის საერთო. (ბატიაშვილი, 2021) თურქეთი მიზანია, არცერთი სახელმწიფოს დომინირება არ დაუშვას შავ ზღვაში, რათა არ დაკარგოს ის უპირატესობა, რომელიც გეოგრაფიული მდებარეობითა და მონტროს კონვენციით უჭირავს. თურქეთი და ამერიკის შეერთებული შტატები გაუთავებელ და გაუცნობიერებელ ანტაგონიზმში არიან ერთმანეთთან. ეს არის NATO ალიანსის ორ ქვეყანას შორის ურთიერთობაში მნიშვნელოვანი ბზარი და ვფიქრობ ამ ბზარს კარგად იყენებს მათი მთავარი მოწინააღმდეგე რუსეთი. (გაფრინდაშვილი, 2019)

თურქეთი რუსეთთან ურთიერთობით, აბალანსებს ამერიკის შეერთებული შტატების მიზნებს - გახდეს დომინანტური ძალა შავი ზღვის რეგიონში და გადამწვეტი როლი ითამაშოს რეგიონის უსაფრთხოებაში. თუმცა, აღსანიშნავია რომ თურქეთი ნატოს წევრი ქვეყანაა და უკიდურეს შემთხვევაში იგი ნატოს ინტერესებს დაიცავს.

**ჩრდილო ატლანტიკური ორგანიზაცია (NATO) -ს ინტერესები შავ ზღვასთან მიმართებით**

ჩრდილო ატლანტიკური ორგანიზაცია (NATO) შავი ზღვის რეგიონში წარმოდგენილია სამი წვერი და ორი პროდასავლური პოლიტიკის მქონე ქვეყნით (საქართველო; უკრაინა). შავი ზღვის უსაფრთხოებით ნატო ძირითადად 2017 წლიდან დაინტერესდა, მართალია მანამდეც იყო უსაფრთხოებისთვის გადადგმული ნაბიჯები თუმცა მასშტაბული ინტერესები ნატოს 2017 წლიდან გაუჩნდა.

2014 წელს ყირიმის ანექსია, მანამდე კი 2008 წელს რუსეთის შეჭრამ საქართველოში, 2022 წელს კი უკრაინაში, ნატო პოლიტიკურად გადატვირთა. მისი მთავრი მოწინააღმდეგე შავ ზღვაში იბრძვის დომინირებისკენ. ბრუსელში კარგად ესმით, რომ თუ არ იქნება ნატოს საზღვრებთან მშვიდობა, ასევე მოსაზღვრე ქვეყნებში სტაბილურობა, საფრთხე ალიანსს დაემუქრება. აღმოსავლეთ ევროპის თავდაცვისთვის შავი ზღვა უდიდეს მნიშვნელობას იძენს (ამერიკისხმა, 2022).

შავი ზღვის რეგიონში ნატოს მიზანს წარმოადგენს რუსული აგრესიის შეკავება, ამის ნათელი გამოხატულება იყო ვარშავის სამიტზე მიღებული განცხადება, სადაც ნახსენები იყო, რომ რუსული პროვოკაციული ქმედებები, მილიტარიზმი და ძალის დემონსტრირება საფრთხე უქმნის ნატოს წევრებსა და ნატოს საზღვრებს (ამერიკისხმა, 2022). მეორე მიზანი, რომელიც საერთაშორისო ვითარებაზე დაკვირვებით შეიძლება გამოვიტანოთ, ესაა თურქეთთან კონკურენცია, თუმცა იგი ნატოს წევრია და აქ აუცილებელია დათმობა. მესამე, ნატოს მიზანია რეგიონალურ ინტეგრაციას მიაღწიოს შავიზღვისპირეთის ქვეყნებთან და მის უსაფრთხოებაში ჩართოს ნატოს წევრ ქვეყნებთან ერთად საქართველოც და უკრაინაც. 2019 წელს ნატოს 70 საიუბილეო ღონისძიებაზე დამტკიცდა ნატოს შავი ზღვის პაკეტი, რომლის მიზანია საქართველოსა და უკრაინას ხელი შეუწყონ შავი ზღვის უსაფრთხოების მიმართულებით (ამერიკისხმა, 2022). ბენ ჰოჯესი თავის სტრატეგიულ ნაშრომში „The Black sea or a Black hole" ნატოს

სამომავლო 12 ნაბიჯი პირველ ადგილზე აყენებს საქართველოს და უკრაინის ნატოში გაწევრიანებისთვის მომზადებას. (B.hodges, 2021). ბენ ჰოჯეს კარგად ესმის თუ რა მნიშვნელობას შეიძენს საქართველოს ყოფნა ალიანსში, როგორც შავი ზღვის უსაფრთხოების ისე გეოსტრატეგიული კუთხით.

## ევროკავშირის ინტერესები შავ ზღვაში

შავ ზღვას სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, კონტინენტური ევროპისთვის. ის კონტინენტში ღრმადაა შეჭრილი და აღმოსავლეთ-დასავლეთს შორის სატრანზიტო როლს ასრულებს.

ევროკავშირი 2007 წლიდან (გაფართოება) აქტიურად ერთვება შავ ზღაში მიმდინარე ეკონომიკურ-პოლიტიკურ პროცესებში (გოგოლაშვილი, 2018). მისი მიზანია რეგიონის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება, უსაფრთხოების, ეკოლოგიური თუ ეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა. ამისათვის ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა, განსაკუთრებით კი ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკა. ევროკავშირმა 2007 წლიდან აამოქმედა შავი ზღვის სინერგიის პროგრამა (გოგოლაშვილი, 2018). სინერგიის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენდა კოლექტიური ქმედებებისათვის სახელმწიფოებს შორის რეგიონული კონსოლიდაციისა და კონსენსუსის მიღწევა. თუმცა იგი ვერ უზრუნველყოფს შავი ზღის უსაფრთხოებისთის საჭირო ერთობას.

2016 წელს ნატოს ვარშავის სამიტზე ევროკავშირსა და ნატოს შორის დაიდო შეთანმება რომელიც ითალისწინებს აღმოსავლეთით-სამხრეთით ნატოს და ევროკავშირის პარტნიორების თავდაცვისა და უსაფრთხოების შესაძლებლობებისა და გამძლეობის გაზრდის ხელშეწყობას ცალკეული მიმღები სახელმწიფოთათვის სხვადასხვა სფეროში კონკრეტული პროექტების განხორციელებით, მათ შორის საზღვაო შესაძლებლობების გაზრდით.

უკრაინაში მიმდინარე ომმა შეცვალა მსოფლიო ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება. ომის პარალელურად ევროკავ-

შირისა და ნატოს წევრი ქვეყნები აქტიურ მხარდაჭერას უცხადებენ უკრაინას, როგორც ფინანსურ, ჰუმანიტარულ ისე სამხედრო საკითხებში. აღნიშნულმა, რუსეთის გაღიზიანება გამოიწვია და დაიწყო ევროპის შანტაჟი იმ ენერგორესურსებით, რომლის მთავარი ექსპტიორია ევროპაში. ომმა აჩვენა კონტინენტურ ევროპას, რომ დამოკიდებულება რუსეთის ენერგორესურსებზე, მასზე უარყოფითად აისახება. 2021 წელს ევროკავშირმა რუსეთიდან 155 მილიარდი კუბური მეტრის გაზი შეისყიდა, რაც ევროკავშირში იმპორტირებული გაზის 45% შეადგენს. (ამერიკისხმა, 2022). 2021 წელს ევროპამ რუსეთისგან შეიძინა 108 მილიონი ტონა ნედლი ნავთობი, 91 მილიონი ტონა ნავთობპროდუქტები და 51 მილიონი ტონა ქვანახშირი. რუსულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულება განსაკუთრებით მაღალია ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, სადაც 18 ბირთვული ბლოკი, როსატომიდან მიწოდებული საწვავით ფუნქციონირებს (გოგოლაშვილი, 2018). ხოლო, 2023 წლიდან ნორვეგია და შეერთებული შტატები გაზის მთავარი მომწოდებლები იყვნენ. ნორვეგიამ უზრუნველყო გაზის მთელი იმპორტის თითქმის 30%. ოფიციალურ წყაროზე დაყრდნობით ევროპისთვის გაზის მიმწოდებელი რუსული კომპანიების წილი დაეცა 40%-მდე და ეს მოვლენები უკრაინაში წამოწყებულმა ომმა დააჩქარა (Henley).

მაშასადამე, 2022 წელიდან ევროკავშირს ახალ რეალობასთან გამკვლავება უწევს, მისი მიზანია შეამციროს დამოკიდებულება რუსულ გაზზე და იგი სხვა იმპორტირებული გაზით ჩაანაცვლოს. აღნიშნულ მიზანს კი ახალ რეალობაში გადავყავართ სადაც შავი ზღვა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება კონტინენტური ევროპის უსაფრთხოებისათის, როგორც „ერთადერთი“ ტრანზიტული გზა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის.

**დასკვნები**

2023 წლიდან, ასოცირებული ტრიო, საქართველო, უკრაინა და მოლდოვა ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნები არიან, რაც მნიშვნელოვნად ცვლის შავ ზღვაში არსებულ რეალობას. ნათელია, რომ კანდიდატობის გზაზე ამ ქვეყნების მიმართ ინტე-

რესი უფრო მეტად გაიზრდება, შესაბამისად გაიზრდება და გადაიხედება ევროპის საგარეო პოლიტიკაც განსაკუთრებით შავი ზღვის აუზთან და მის კანდიდატ ქვეყნებთან მიმართებით. საბოლოო კანდიდატობამდე ამ ქვეყნების დემოკრატიზაციის პროცესს შეუძლია რეგიონი მიიყვანოს სტაბილურობამდე, რადგან დემოკრატიული თეორიის თანახმად, დემოკრატიულ სახელწმიფოებს შორის თანამშრომლობა უპირატესი იქნება, რაც საკუთრივ ხელს შეუწყობს რეგიონული უსაფრთხოების ჩამოყალიბებას გრძელვადიან პერიოდში.

საქართველო, უკრაინა და მოლდოვა სტრატეგიულად განლაგებულია ევროპის აღმოსავლეთ კიდეზე და მოქმედებენ როგორც ბუფერები ევროკავშირსა და რუსეთს შორის. ეს სამი ქეყანა არის დემოკრატიის საზღვარი და დემოკრატიის ნაპირებზე, პერიფერიებზე მდებარეობენ. ამ ქვეყნების მხარდაჭერით ევროკავშირი მიზნად ისახავს გააძლიეროს რეგიონული სტაბილურობა და თავიდან აიცილოს კონფლიქტების გავრცელება. რეგიონში მიმდინარე კონფლიქტებში, ევროკავშირი ირგებს მედიატორის როლს. როგორიცაა: უკრაინა - რუსეთი, მთიანი ყარაბახის კონფლიქტი, საქართველო - რუსეთი და სხვა. ევროკავშირის მხარდაჭერა ეხმარება ამ ქვეყნებს წინააღმდეგობა გაუწიონ რუსეთის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ზეწოლას.

სწორედ აქ იბადება შავი ზღვის, როგორც „ახალი სივრცის“ კონცეფციის სტრუქტურა, რაც რეგიონის გეოპოლიტიკური ლანდშაფტის ცვლილებამ გამოიწვია. ამ ტრანსფორმაციას განაპირობებს სხვადასხვა ფაქტორები: გაზრდილი საერთაშორისო ინტერესი, სტრატეგიული სამხედრო ფორმირებები, ფრაგმენტულობა ინტეგრაციის დაბალი დონე. რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიამ მნიშვნელოვნად შეცვალა ძალთა ბალანსი შავ ზღვაში, გააძლიერა მისი სტრატეგიული პოზიცია და სამხედრო შესაძლებლობები რეგიონში. „ახალი სივრცე“ შავ ზღვაზე ნიშნავს ტრანსფორმირებულ გეოპოლიტიკურ გარემოს, რომელიც გამოირჩევა საერთაშორისო ინტერესით, სტრატეგიული სამხედრო განვითარებით და მნიშვნელოვანი ეკონომიკური პოტენციალით. შედეგად, შავი

ზღვის რეგიონი გახდა საერთაშორისო დიპლომატიის, სამხედრო სტრატეგიისა და ეკონომიკური განვითარების ჰაბი, რაც აყალიბებს მის მომავალ ტრაექტორიას ფართო გლობალური დინამიკის კონტექსტში.

შავი ზღვის უსაფრთხოება მნიშნელოვან საკითხს წარმოადგენს მიმდებარე ქვეყნებისა თუ სუპრანაციონალური გაერთიანებების ან ალიანსთან დღის წესრიგში. თუმცა შავ ზღვას გააჩნია იდენტობის პრობლემა, რაც დაბალი ინტეგრაციისა და სახელმწიფოთა შორის სუსტი ურთიერთობის შედეგია. რეგიონის უსაფრთხოების კონცეფცია ჩამოუყალიბებელია, რასაც არსებული კონფლიქტები, ზღვის მილიტარიზაცია ემატება და შავ ზღვას რისკ ქვეშ ამყოფებს. საბოლოო ჯამში, სხვადასხვა თეორიების განხილვით, ჩანს რომ ინტერესთა კონფლიქტი იწვევს შავი ზღვის უსაფრთხოების კონცეფციის არ არსებობას და მისი ჩამოყალიბების შეფერხებას.

შავი ზღვის ძლიერ პოლიტიკური სუბიექტებს, როგორიც რუსეთი, თურქეთი, ნატო ან ევროკავშირია განსხვავებული ინტერესები გააჩნიათ. აღნიშნული იწვევს სუბიექტებს შორის კონკურენციის ზრდას, რაც ხელს უშლის ინტეგრაციის პროცეს. თითოეული ქვეყნისთვის გადამწვეტ და ზოგჯერ არსებობისთვის საჭირო მნიშვნელობას იძენს შავ ზღვაზე დომინირება ან სტრატეგიულად მნიშვნელოვანი გეოგრაფიული ობიექტების ფლობა.

თანამედროვე მოვლენების ფონზე, შავი ზღვა, როგორც ახალი სივრცე მსოფლიოს მნიშნელოვანი აქტიორების ინტერესად გადაიქცა. ნატოს მისწრაფებები შეძლოს შავი ზღვისპირელ ქვეყნებთან თანამშრომლობით უსაფრთხოების შემუშავება დაბრკოლებულია რუსეთის ფენომენით. იგი შავ ზღვას საკუთარი გავლენის სფეროდ განიხილავს მაშასადამე ნატო მიუღებელი მეზობელია მისთვის.

თურქეთი, მიუხედავად ნატოს წევრობისა ცდილობს დამოუკიდებელ აქტიორად მოგვევლინოს რეგიონში და განსხვავებული პოლიტიკა გაატაროს. ამ ეტაპზე მის ხელთაა „მთავარი

გასაღები“ მონტროს კონვენცია, რითაც შეიძლება ითქვას აბალანსებს რუსეთსა და ნატოს.

რუსეთ-უკრაინაში ომმა კონტინენტური ევროპა „გამოაღვიძა“ მოეძია ენერგო რესურსების სხვა ალტერნატიული გზა. რამაც გამოიწვია ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის რევიზია შავ ზღვასთან მიმართებით, ევროკავშირმა სწორად გაიაზრა, რომ შავი ზღვა მისი უსაფრთხოების გარანტორი უნდა გახდეს, სადაც არ უნდა დაუშვას სხვა ქვეყნების დომინირება. ამ მიზნით „სამი ზღვის“ ინიციატივის გააქტიურება მნიშვნელოვნად ზრდის შავი ზღვის სტატუსს კონტინენტური ევროპის უსაფრთხოებისთვის.

საბოლოო ჯამში, შავი ზღვის მთავარ პრობლემად ინტერესთა კონფლიქტი, სტრატეგიული ფრაგმენტაცია გვევლინება, რაც ბადებს მუდმივ დაძაბულობას, ომებს, მილიტარიზაციას და ინტეგრაციის დაბალ დინეს. შავი ზღვის უსაფრთხოების გასაღები მხოლოდ ინტეგრაციაშია, რადგან უსაფრთხოება ვერ განიხილება რომელიმე ერთი სახელწმიფოს გამოკლებით, არამედ შავი ზღვის უსაფრთხოება პირველ რიგში რეგიონის ქვეყნებს შორის თანამშრომლობითა და ურთიერთდამოკიდებულების ზრდით უნდა იქნეს მიღწეული.

არაპროგნოზირებადი პროცესები, მზარდი მილიტარიზმი, ინტეგრაციის დაბალი დონე, გლობალურ აქტიორთა ინტერესები, სტრატეგიული ფრაგმენტაცია: ამგვარია ამჟამად შავი ზღვის პოლიტიკური მდგომარეობა. შესაბამისად აღნიშნული ხელს უშლის რეგიონში უსაფრთხო გარემოს შექმნას, გამომდინარე აქედან არ არის გამორიცხული შავ ზღვაში პროცესები კიდევ უფრო დაიძაბოს, განსაკუთრებით მაშინ თუ უკრაინაში დაწყებული ომი მალე არ დასრულდება ან რუსეთი შეძლებს საკუთარი გავლენების კიდევ უფრო გაფართოებას.

**ბიბლიოგრაფია:**

A. Kuimova and S. T. Wezeman. (2018). Russia and Black Sea Security. *SIPRI.*

Alcenat, M. S. (2008). *Revisiting the Pivot: The Influence of Heartland Theory in Great Power Politics.* Macalester College .

B.Hodges. (2021). *„The black sea or a black hole".* Washington: the Center for European Policy Analysis.

Barry Buzan and Ole Wæver. (2003). *Regions and Powers The Structure of International Security.* New York: Cambridge University Press.

D.LITVINOVA, S. a. (2022). Putin tempts Turkey, suggests making it Europe's new gas hub.

Dickinson, P. (August 7, 2021). The 2008 Russo-Georgian War: Putin's green light. *Atlantic Counsil*.

Dlugy, Y. (2022). From Gorbachov to Putin. *The New York Times*.

Economist, I. (2020). Democracy Index 2020 In sickness and in health? *Democracy Index*, გვ. 11 - 12 - 53.

Euronews. (2022 წლის 19 July). EU agrees deal with Azerbaijan to double gas exports by 2027, July 19, 2022. https://www. მოპოვებული https://www.euronews.com/my-europe/2022/07/18/von-der-leyen-heads-to-azerbaijan-to-secure-new-gas-import-deal-დან

European commission. (Brussels, 28 February 2012). EU support to the Europe-Caucasus-Asia Transport Corridor.

Henley, J. (თ. გ.). EU imports of Russian liquified gas leap by 40% since Ukraine invasion. *The Guardian*.

Ibadoghlu, G. (2021). Who stands to gain from closer relations between Russia and Turkey?

North atlantic treaty organization. (2020). *NATO MEMBER COUNTRIES,.*

O. Brusylovska, V. Dubovyk and I. Koval. (2020). "Black sea region in world policy: actors, factors and scenarios of the future". *Odesa Mechnikov national university press*, 6-7-9.

Shah, A. M. (2018). *Foundaments of Physical and Human Geograohy.*

Stavridis, A. J. (2017). *Sea Power ( The History And Geopolitics Of The World's Oceans.* New York : Penguin Press.

Trenin, D. (Aug 28, 2019). 20 Years of Vladimir Putin: How Russian Foreign Policy Has Changed. *Carnegie Moscow Center*.

ამერიკისხმა. (2022). *ზამთარი ევროპაში და რუსული გაზი.* ვაშინგტონი: ამერიკის ხმა.

გაფრინდაშვილი, ნ. (2019). *საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლის გეომორფოლოგიური და გეოდინამიკური ცვლილებების და რისკების საზღაო ინფრასტრუქტურის განვითარებასთან დაკავშირებით".* თბილისი: საქართელოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტ.

ბატიაშვილი, დ. (2021). *უსაფრთხოების მიმოხილვა.* თბილისი: საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი.

ბატიაშვილი, ზ. (2021). *უსაფრთხოების მიმოხილვა, თურქეთი და შავი ზღის უსაფრთხოების საკითხები.* თბილისი: საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი.

გოგოლაშვილი, კ.(2018). *ევროკავშირის შავი ზღის პოლიტიკა და გაფართოება.* თბილისი: საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი.

ლიკლიკაძე, კ. (2018). *სისხლიანი ევრომაიდანი.* თბილისი: რადიო თავისუფლება.